პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების თანმდევი მავნე და საშიში ფაქტორების, დამახასიათებელი პროფესიული დაავადებებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების, აგრეთვე გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ.
- შეასწავლოს: საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული შრომის უსაფრთხოების კანონი და უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი მოთხოვნები; საწარმოო რისკების შეფასებისა და კონტროლის, შრომის პირობების ოპტიმიზაციის მეთოდები; ავარიული სიტუაციების პროგნოზირების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებები.
- განუვითაროს სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული გარემოს ფაქტორების ამოცნობის, შეფასების, კონტროლისა და საწარმოო სახიფათო სიტუაციაში ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. **აღწერს** საგანგებო სიტუაციების განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს და მათი შეუფერხებლად ფუნქციონირების პირობებს, თანმდევ მავნე საწარმოო ფაქტორებს და მათი ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზმსა და გარემოში მიმდინარეცვლილებებს;
2. **განსაზღვრავს** დარგისთვის დამახასიათებელ საწარმოო ტრავმებსა და პროფესიულ დაავადებებს, შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემაში გამოყენებულ სტანდარტებს, ადამიანის ჯანმრთელობაზე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებისადა საგანგებო სიტუაციაში პირველადი დახმარების საკითხებს.
3. **განიხილავს**შრომის პირობების შეფასების კრიტერიუმებს, პროფესიული და ეკოლოგიური უსაფრთხოების მისაღწევად შრომის ჰიგიენისა და სანიტარიის, ტექნიკური ესთეტიკის, ერგონომიკის, შრომის ფსიქოლოგიის პრინციპების მნიშვნელობას, რისკების შეფასების დოკუმენტის განახლების პერიოდულობას, ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანთა ქცევას.
4. **განმარტავს** შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო და სამართლებრივ აქტებს, შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტისა ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპებს; ბუნებრივი, ტექნიკურ და ტექნოგენურ საფრთხეებს და მათი წარმოქმნის მიზეზებს.
5. წინასწარ განსაზღვრული მითითებების მიხედვით **იყენებს** ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების თეორიებსა და პრინციპებს შრომის უსაფრთხოების სფეროს ცალკეული ამოცანების ამოხსნისათვის.
6. **ახდენს** სამუშაო ადგილთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, უსაფრთხოების დაცვისა და პროფილაქტიკის ადეკვატური ღონისძიებების შერჩევას, დაგეგმვასა და განხორციელებას, ექსტრემალური სიტუაციაში შედეგების პროგნოზირებას.
7. **არჩევს** მავნე ფაქტორების ზღვრულ დასაშვებ დონემდე შემცირებისა და უსაფრთხოების, ექსტრემალური საწარმოო პირობების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს, შრომისა და დასვენების რაციონალურ რეჟიმს, კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.
8. **აანალიზებს** სახიფათო სიტუაციებს, პოტენციურ რისკებს, ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ეფექტურად ფუნქციონირების საკითხებს, საკონტროლო - მარეგულირებელი ხელსაწყოების ჩვენებას და **აკეთებს დასკვნას** შრომის პირობების, ტექნოლოგიური მოწყობილობის წესივრულობის, ადამიანებსა და გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური

ზემოქმედების შესახებ;

9. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით **ამზადებს** საპრეზენტაციო მასალებს უსაფრთხო და ოპტიმალური შრომის უზრუნველმყოფი ღონისძიებებისა დაგარემოს ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ;
10. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის წერითი და ვერბალური ფორმების გამოყენებით **ახდენს** უსაფრთხოების ტექნიკის, ფსიქოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების **პრეზენტირებას**.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდანარანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნითშეფასებაში მიღებულ ქულას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_procesis_mart_inst_2020_SD.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5
	უცხოური ენა - 1	
2.1	ინგლისური ენა - 1	5
2.2	გერმანული ენა - 1	5
2.3	ფრანგული ენა - 1	5
2.4	რუსული ენა - 1	5
3	ზოგადი ფიზიკა A	4
4	კომპიუტერული ტექნოლოგიები	4
5	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	5
6	ზოგადი ქიმია A	4

7	შესავალი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო საფუძვლებში	3
8	მათემატიკური ანალიზის ელემენტები	5
	უცხოური ენა - 2	
9.1	ინგლისური ენა - 2	5
9.2	გერმანული ენა - 2	5
9.3	ფრანგული ენა - 2	5
9.4	რუსული ენა- 2	5
10	ზოგადი ფიზიკა B	4
11	ორგანული ქიმიის მოკლე კურსი	3
12	წიაღისეულის გამდიდრების საფუძვლები	5
13	ზოგადი გეოლოგია	5
	თავისუფალი კომპონენტების ბლოკი№ 1	
14.1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3
14.2	საქართველოს ისტორია	3
14.3	სოციოლოგიის შესავალი	3
14.4	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა	3
14.5	ფილოსოფიის საფუძვლები	3
14.6	ტექნიკური დიზაინის ისტორია	3
14.7	დედამიწის ისტორია	3
14.8	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	3
15	შესავალი ფსიქოლოგიაში	3
16	ადამიანის ანატომიაფიზიოლოგია და პირველადი გადაუდებელი დახმარება	5
17	სახანძრო უსაფრთხოება	5
	უცხოური ენა - 3	
18.1	ინგლისური ენა -3	5
18.2	გერმანული ენა - 3	5
18.3	ფრანგული ენა -3	5
18.4	რუსული ენა- 3	5
19	საწარმოო ავარიები და კატასტროფები	5
20	წიაღისეულის საბადოთა დამუშავების საფუძვლები	4
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები# 1	
21.1	ბიომრავალფეროვნება	3
21.2	ეკოლოგიური მონიტორინგი	3
21.3	ბუნებრივირესურსები და მისი განახლებადი წყაროები	3
22	ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია 2	3
23	მეტალურგიული ტექნოლოგიის საფუძვლები	3
24	სამრეწველო ტოქსიკოლოგიის საფუძვლები	3
25	საწარმოო ესთეტიკა და ერგონომიკა	3

	უცხოური ენა - 4	
26.1	ინგლისური ენა - 4	5
26.2	გერმანული ენა - 4	5
26.3	ფრანგულიენა - 4	5
26.4	რუსული ენა - 4	5
27	ზოგადი ენერგეტიკის საფუძვლები	3
28	საწარმოო სანიტარია	3
29	შრომის ჰიგიენა	4
30	ტრანსპორტის ზოგადი კურსი	3
31	მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის საფუძვლები	3
32	მშენებლობის ტექნოლოგიის საფუძვლები	3
33	შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი	3
34	ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ნორმატიული აქტები	3
35	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5
36	პროფესიულიი დაავადებები	4
37	ელექტროუსაფრთხოების საფუძვლები	5
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები# 2	
38.1	ურბანული დასახლებები და სტიქიური უბედურებები	3
38.2	დაცვის საშუალებები საგანგებო სიტუაციის დროს	3
38.3	საგანგებო სიტუაციები საომარი მოქმედებისას და მათი მართვა	3
38.4	საგანგებო სიტუაციების საკანონმდებლო ბაზა	3
39	ქიმიური და მეტალურგიული საწარმოების უსაფრთხოება	5
40	სამთო და გეოლოგიური სამუშაოების უსაფრთხოება	5
41	სატრანსპორტო მეურნეობის უსაფრთხოება	4
42	შრომის ფსიქოლოგია	4
43	მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოება	5
44	გარემოს დაბინძურებაფიზიკური ფაქტორებით	4
45	მართვის სისტემებისა და კავშირგაბმულობის ობიექტების უსაფრთხოება	4
46	შრომის უსაფრთხოება აგრარულ სექტორში	4
47	სამშენებლობლო სამუშაოების უსაფრთხოება	6
48	სატრანსპორტო ავარიები და კატასტროფები	5
49	საგანგებო სიტუაციების მართვა	5
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები# 3	
50.1	ტექნოსფერო და ეკოსისტემების დეგრადაცია	4
50.1	სამთომაშველი საქმე	4

51	საწარმოო რისკები და მათი მართვა	6
52	საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში	10
53	საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში	5
	თავისუფალი კომპონენტების ბლოკი № 2	
54.1	ანტიკრიზისული მენეჯმენტის საფუძვლები	5
54.2	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები	5
54.3	შესავალი ფერთამცოდნეობაში	5
54.4	ყველაფერი ნავთობის შესახებ	5
54.5	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	5
54.6	ტურიზმი	5
65.7	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5
54.8	შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში	5